ელექტროენერგიის ბაზრის მიმოხილვა

ენერგეტიკის სამინისტრომ ენერგოსექტორის 2016-2025 წლების სტრატეგია გამოაქვეყნა. სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავებაზე სამინისტრო და რეგულატორი ორი წლის განმავლობაში ერთობლივად მუშაობდნენ. სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავებაში ასევე ჩართულნი იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციები და დარგის ექსპერტები. სტრატეგიის დოკუმენტში განხილულია ენერგოსექტორის განვითარებისათვის ისეთი საკვანძო საკითხები, როგორიცაა ელექტროენერგიის ბაზრის ლიბერალიზაცია და „ერთი დღით ადრე" ვაჭრობაზე გადასვლა, ევროკავშირის მესამე ენერგოპაკეტით გათვალისწინებულ რეგულაციებთან დაახლოება და გადამცემი და გამანაწილებელი ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია და შემდგომი განვითარება. დოკუმენტში გამახვილებულია ყურადღება ქვეყნის დადგმული სიმძლავრის განვითარების აუცილებლობაზე რათა შემცირდეს საქართველოს იმპორტდამოკიდებულება. დოკუმენტში ასევე განხილულია ალტერნატიული ენერგიის, მათ შორის მზის, ქარის, ბიომასის და გეოთერმულ რესურსებზე მომუშავე გენერაციის ობიექტების განვითარების პერსპექტივები. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ დადგმული სიმძლავრის განვითარებისა და ალტერნატიული ენერგიის წყაროების ქსელში ინტეგრირებისათვის მნიშვნელოვანია საქართველოს ელექტროსისტემა იყოს საკმარისად მდგრადი და შეესაბამებოდეს მაღალ სტანდარტებს, რისთვისაც სასისტემო სიმძლავრის სადგურების აშენება, როგორიცაა ნენსკრა, ხუდონი და ნამახვანი აუცილებლობას წარმოადგენს. ქვეყნის ენერგოსტრატეგიის განუყოფელ ნაწილად ითვლება ენერგოუსაფრთხოება, რომლის უზრუნველსაყოფადაც სახელმწიფო ბუნებრივი გაზის რეზერვუარის მშენებლობას აუცილებლად მიიჩნევს. საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას დაწყებული აქვს მოლაპარაკებები ბუნებრივი გაზის რეზერვუარის მშენებლობასთან დაკავშირებით, ჩატარებულია ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა და პროექტის განვითარება გადასულია მეორე ფაზაზე. კორპორაცია გაზსაცავის მშენებლობას საკუთარი სახსრებით აპირებს, თუმცა მათივე განცხადებით, ინვესტორებს ექნებათ საშუალება პროექტის ნაწილში დააბანდონ ფული. არანაკლებ მნიშვნელოვანია თანამშრომლობა საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებს შორის ენერგოსექტორში, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს განვითარებას როგორც რეგიონალური ტრანზიტისა და განახლებადი ელექტროენერგიის ვაჭრობის დერეფანი.

ელექტროენერგიის ბაზრის მონაცემები	
ივლისში საბალანსო ელექტროენერგიის ფასი საქართველოში*	3.8 აშშ ცენტი კვტ/სთ-ზე
ივლისში ელექტროენერგიის საბაზრო ფასი თურქეთში*	4.8 აშშ ცენტი კვტ/სთ-ზე
ივლისში ექსპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო ფასი*	5.0 აშშ ცენტი კვტ/სთ-ზე
ივლისში თურქეთში ექსპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო ფასი*	5.0 აშშ ცენტი კვტ/სთ-ზე
ივლისში იმპორტირებული** ელექტროენერგიის საშუალო ფასი*	2.6 აშშ ცენტი კვტ/სთ-ზე
შიდა მოხმარების ცვლილება 7თ16, კვტ/სთ	3.2%
ელექტროენერგიის ექსპორტის ცვლილება 7თ16, კვტ/სთ	-6.3%
თურქეთში ექსპორტირებული ელექტროენერგიის ცვლილება 7თ16, კვტ/სთ	-18.2%
ცვლილება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში, ენერგოსექტორი, 1კვ16	20.0%

**საშუალო გაცვლითი კურსი ივლისში GEL/US$ = 2.3367; TRY/US$= 2.9576*
***ივლისში იმპორტირებული ელექტროენერგიის რაოდენობა უმნიშვნელო - 5 გვტ/სთ-ზე ნაკლები - იყო; იმპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო ფასი შესაძლოა დაკორექტირდეს*

ევროპის ენერგოგაერთიანებაში გაწევრიანების ხელშეკრულების რატიფიკაციას საქართველოს პარლამენტი 2017 წლის დასაწყისში მოახდენს. სანამ ხელშეკრულება საპარლამენტო მოსმენისთვის იქნება მზად, 2016 წლის ოქტომბერში საქართველოს სრული წევრობის საკითხი ენერგოგაერთიანების მინისტერიალზე უნდა გადაწყდეს. მას შემდეგ რაც საქართველო ენერგოგაერთიანების წევრი გახდება, ქვეყანა საკუთარ თავზე აიღებს ვალდებულებას საკანონმდებლო ბაზა დაუახლოვოს ევროკავშირის მოთხოვნებს. შესაბამისობის მოთხოვნებს შორის არის ენერგობაზრის ლიბერალიზაცია, ელექტროენერგიის მიწოდების ხარისხი და უსაფრთხოება, ენერგოეფექტურობა, და გარემოსდაცვითი ღონისძიებები.

ტყიბულის 150 მგვტ-იანი ქვანახშირის თბოსადგურის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება შეიცვალა. გარანტირებული შესყიდვის პერიოდი თბოსადგურს 20-დან 15 წლამდე, ხოლო გარანტირებული შესყიდვის თვეების რაოდენობა თორმეტიდან ცხრა თვემდე (აგვისტოდან აპრილის ჩათვლით) შეუმცირდა. ცვლილებას ხელი 4 ივლისს მოეწერა და აგვისტოში სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნდა. შეცვლილია დაშვება დადგმულ სიმძლავრეზეც. არსებულ შეთანხმებაში დადგმული სიმძლავრის ზღვარი განსაზღვრული იყო 150 მგვტ-ზე, ხოლო ცვლილების შემდგომ განისაზღვრა 150-დან 300 მგვტ-მდე. გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ფასი უცვლელი დარჩა და პირველ წელს კვტ/სთ-ზე 7.9 აშშ ცენტით განისაზღვრა. მომდევნო წლებში კი ფასი იზრდება და მე-12-დან მე-15 წლის ჩათვლით კვტ/სთ-ზე 9.2 აშშ ცენტს უტოლდება.

მარეგულირებელმა ქარის ელექტროსადგურზე ქართლი-1 ელექტროენერგიის წარმოების ლიცენზია გასცა. ელექტროსადგური სატესტო რეჟიმში 2016 წლის ოქტომბერში ამუშავდება. ელექტროსადგურის მშენებლობის პროცესი თითქმის დასრულებულია. ელექტროსადგურზე ექვსი ტურბინა იმუშავებს, თითო 3.45 მგვტ დადგმული სიმძლავრით. პროექტის მთლიანი ღირებულება 34.3 მლნ აშშ დოლარს შეადგენს, საიდანაც 24.0 აშშ დოლარი EBRD-ს მიერ არის დაფინანსებული. EBRD-ის დაფინანსება საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდმა (GEDF) არასუბორდინირებული სესხის სახით მიიღო. GEDF ამჟამად ქარის ოთხ სხვადასხვა პოტენციურ პროექტზე მუშაობს, აქედან ორზე თურქულ ჩალიკ ვინდთან თანამშრომლობით. აღსანიშნავია რომ, სტრატეგიის დოკუმენტის თანახმად, განახლებული გადაცემის ინფრასტრუქტურა და გაზრდილი სასისტემო სიმძლავრე მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ქარისა და მზის ენერგიის განვითარების პერსპექტივაში, ვინაიდან სამინისტროს პროგნოზით არსებული სიმძლავრე მხოლოდ 50 მგვტ.-ის ინტეგრირების საშუალებას იძლევა. სამინისტროს პროგნოზით ეს მაჩვენებელი 2025 წლამდე 400 მგვტ.-ს უნდა გაუტოლდეს.

ნინო პაპავა
საინვესტიციო კვლევების დეპარტამენტის უფროსი | n.papava@gt.ge | +995 322 401 111 ext.4693
თამარ ქურდაძე
ანალიტიკოსი | tamarkurdadze@gt.ge | +995 322 401 111 ext.4298

გთხოვთ იხილოთ მნიშვნელოვანი შეტყობინება დოკუმენტის ბოლო გვერდზე.

ენგურჰესი გეგმური სარემონტო სამუშაოების განხორციელების მიზნით 2017 წელს სამი კვირით, 2018 წელს კი სამიდან ოთხ თვემდე პერიოდით ელექტროენერგიის გამომუშავებას შეწყვეტს. გეგმიური სარემონტო სამუშაოები როგორც წესი 10 წელში ერთხელ სრულდება. აღსანიშნავია, რომ ენგურჰესი საქართველოს ენერგომომარაგების დიდ ნაწილს შეადგენს - სეზონურობის მიხედვით, თვეში 150 გვტ/სთ-დან (ჯამური მოხმარების 20%-მდე) 550 გვტ/სთ-მდე (50%+). ასევე, აფხაზეთის რეგიონი მთლიანად ენგურჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიით მარაგდება. იმ თვეებში როდესაც ენგურჰესი ელექტროენერგიის გამომუშავებას შეწყვეტს, აუცილებელი იქნება ელექტროენერგიის დეფიციტის სხვა გზით შევსება. 2016 წლის დასაწყისში, როდესაც წყლის ნაკლებობის გამო აფხაზეთის რეგიონში ელექტროენერგიის დეფიციტი შეიქმნა, საქართველოს მთავრობამ შეთანხმების საფუძველზე რუსეთიდან შეღავათიან ფასად შემოიტანა ელექტროენერგია, რომელიც შემდგომ აფხაზეთის რეგიონზე განაწილდა. მსგავსი შეთანხმება ერთერთი სავარაუდო ვარიანტია ელექტროენერგიის დეფიციტის შესავსებად.

ელექტროენერგიის გამომუშავება, მოხმარება და ექსპორტი

ივლისში შიდა მოხმარება წლიურად 6.8%-ით არის გაზრდილი. ზრდის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორები გამანაწილებელი ლიცენზიანტებისა და პირდაპირი მომხმარებლების მიერ გაზრდილი მოხმარება იყო. გამანაწილებელი ლიცენზიანტების მოხმარება ივლისში 5.6%-ით არის გაზრდილი, დიდწილად თბილისის მოხმარების ხარჯზე (+17.5% წ/წ). ენერგო-პროს მომხმარებელთა მიერ გამოყენებული ელექტროენერგიის რაოდენობა თითქმის არ გაზრდილა (+0.7% წ/წ), კახეთის ენერგოდისტრიბუციისა კი შემცირებულია (-3.2% წ/წ). პირდაპირი მომხმარებლების მიერ მოხმარებული ელექტროენერგია წლიურად 12.1%-ით არის გაზრდილი, დიდწილად ჯორჯიან მანგანეზის ხარჯზე (+25.9% წ/წ). აღსანიშნავია, რომ ჯორჯიან მანგანეზის მოხმარება გაზრდილია დაბალი ბაზიდან - 2015 წლის ივლისში მანგანეზის მოხმარება 28.5%-ით იყო შემცირებული. შემცირებულია GWP-ის მოხმარებაც (-3.9% წ/წ). აფხაზეთის რეგიონის მოხმარება ივლისში წლიურად 9.2%-ით გაიზარდა. ზრდა აღინიშნა ივნისშიც (+14.8% წ/წ), 3-თვიანი უარყოფითი ან ნულოვანი ზრდის შემდეგ.

ივლისში ელექტროენერგიის ექსპორტი შემცირებდა წლიურად 22.3%-ით, დიდწილად რუსეთში ექსპორტის გამო, რომელიც შემცირებულია წლიურად 93.7%-ით 4.0 გვტ/სთ-მდე. ელექტროენერგიის ექსპორტი თურქეთის მიმართულებით გაზრდილია 21.9%-ით, 99.0 გვტ/სთ-მდე, რამაც ნაწილობრივ დააკომპენსირა რუსეთის მიმართულებით ექსპორტის ვარდნა. ეს დინამიკა შესაძლებელია აიხსნას რუსეთის ბაზარზე არაკონკურენტუნარიანი ფასებით (2-3 ცენტი კვტ/სთ-ზე) თურქეთის და საქართველოს ბაზრებთან შედარებით. ამასთან, ადგილობრივი მოხმარება გაიზარდა, მაშინ როდესაც ადგილობრივი წარმოება თითქმის უცვლელი იყო. შესაბამისად, მწარმოებლებს სავარაუდოდ ერჩივნათ ელექტროენერგიის გაყიდვა ადგილობრივად ან თურქეთის ბაზარზე. საბოლოო ჯამში, ექსპორტირებული ელექტროენერგიის 76.8% თურქეთში, 3.1% რუსეთში, 17.6% სომხეთში (+5.8% წ/წ), და დარჩენილი უმნიშვნელო რაოდენობა აზერბაიჯანის მიმართულებით გავიდა.

გრაფიკი 1: ელექტროენერგიის მოხმარება და ექსპორტი, გვტ/სთ



წყარო: ესკო

გრაფიკი 2: ელექტროენერგიის მოხმარება, აფხაზეთის რეგიონი (გვტ/სთ)



წყარო: ესკო

შიდა მოთხოვნის დაკმაყოფილება 2016 წლის ივლისში მთლიანად ჰეს-ების მიერ წარმოებული ელექტროენერგიით მოხდა. შიდა წარმოება წლიურად მხოლოდ 1.7%-ით გაიზარდა, სეზონური ჰეს-ების წარმოება კი 33.5%-ით და სრული ჰიდროგენერაციის 36.2% შეადგინა. დერეგულირებული ჰეს-ების წარმოება გაზრდილია 23.6%-ით. თბოსადგურების მიერ წარმოებული ელექტროენერგია უმნიშვნელო რაოდენობის იყო, თუმცა ოთხივე თბოსადგური თითქმის მთელი თვის განმავლობაში სარეზერვო რეჟიმში იდგა, გარდა მტკვარი ენერგეტიკის მეცხრე ბლოკისა, რომელიც მხოლოდ 10 დღე იმყოფებოდა სარეზერვო რეჟიმში. გარანტირებული სიმძლავრის საფასური წინა თვესთან შედარებით გაორმაგდა (+114.3%), მას შემდეგ რაც ივნისში გარდაბნის თბოსადგური მხოლოდ 8 დღით, ივლისში კი მთელი თვით სარეზერვო რეჟიმში იდგა. ივლისში იმპორტირებული ელექტროენერგიის რაოდენობა უმნიშვნელო იყო.

გრაფიკი 3: ელექტროენერგიის გამომუშავება, იმპორტი და მოხმარება, გვტ/სთ



წყარო: ესკო

გრაფიკი 4: ჰეს-ების გამომუშავება, გვტ/სთ



წყარო: ესკო

ელექტროენერგიის ფასები საქართველოსა და თურქეთში

ქართული ელექტროენერგიის საშუალო საექსპორტო ფასი თურქეთში წლიურად 10.8%-ით, კვტ/სთ-ზე 5 აშშ ცენტამდე არის გაზრდილი, მიუხედავად იმისა რომ თურქეთის ბაზარზე ფასები 7.0%-ით, კვტ/სთ-ზე 4.8 აშშ ცენტამდე შემცირდა. აღსანიშნავია, რომ თურქეთში ფასები შემცირდა წინა წლის საკმაოდ დაბალი ბაზიდან. საბალანსო ელექტროენერგიის ფასი საქართველოში 4.7%-ით შემცირდა და კვტ/სთ-ზე 3.8 აშშ ცენტი შეადგინა. 2016 წლის ივნისში საბალანსო ბაზარზე მთლიანი ელექტროენერგიის მხოლოდ 2.5% ივაჭრებოდა, დანარჩენი ვაჭრობა კი ორმხრივი კონტრაქტების საფუძველზე მოხდა. ქართული ელექტროენერგიის საშუალო საექსპორტო ფასი ივლისში წლიურად 33.4%-ით გაიზარდა და კვტ/სთ-ზე 5.0 აშშ ცენტი შეადგინა.

გრაფიკი 5: ელექტროენერგიის ფასები საქართველოსა და თურქეთში, აშშ ცენტი კვტ/სთ-ზე



წყარო: ესკო, EPIAS

გრაფიკი 6: იმპორტირებული და ექსპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო ფასები, აშშ ცენტი კვტ/სთ-ზე



წყარო: ესკო, საქსტატი

მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი მკაცრად კონფიდენციალურია და მომზადებულია სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart") მიერ, რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყევობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია გალტ ენდ თაგარტის კლიენტებისთვის და კვლევითი მასალების გამომწერებისთვის. ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

საინვესტიციო კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი
ნინო პაპავა | n.papava@gt.ge

ეკონომისტი
ევა ბოჭორიშვილი | evabochorishvili@gt.ge

ეკონომისტი
ალიმ ჰასანოვი | ahasanov@gt.ge

უფროსი ასოცირებული ანალიტიკოსი
გიორგი ირემაშვილი | giremashvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
დავით ნინიკელაშვილი | dninikelashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
დავით ქუტიძე | dkutidze@gt.ge

ანალიტიკოსი
თამარ ქურდაძე | tamarkurdadze@gt.ge

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: research@gt.ge